მე-8 კლასი

ნაწილი I - გრამატიკა

1. რომელია მცდარი ფორმა?

ა) მარდად ბ) სახტათ გ) სწრაფად

2. რომელია მართებული?

ა) ერთსა და იმავე გზას გავყურებთ

ბ) ერთი და იგივე საგანს ვაბარებთ

გ) ერთი და იგივე ბარათს ვავსებთ

3. რომელი სიტყვა არ არის წინადადების წევრი?

გრძნობდა, რომ ხაფანგში გაება.

ა) რომ ბ) ხაფანგში გ) გრძნობდა

ნაწილი II - ლექსიკა /ფრაზეოლოგია

4. რომელია მცდარი ფორმა?

ა) მე ვარჯიშობ ბ) მე ვვარაუდობ გ) მე ვომობ

5. რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება _ კალთები დააგლიჯა?

ა) ეჩხუბა ბ) ემუდარა გ) ეკამათა

6. რომელია ბერწის სინონიმი?

ა) უნაყოფო ბ) ნაყოფიერი გ) ნოყიერი

ნაწილი III - წაკითხულის გააზრება

ერის საუნჯე „ვეფხისტყაოსანი“

მეფე როსტევანმა ვეზირებთან თათბირის შემდეგ გადაწყვიტა, რომ გაემეფებინა ერთადერთი ასული თინათინი. მან მოიხმო სრულიად არაბეთის მოსახლეობა, თავად აიყვანა ტახტზე მომავალი მეფე, თავზე სამეფო გვირგვინი დაადგა, ხელში სკიპტრა მისცა და დალოცა თინათინი, რომელსაც მამის ტახტზე საჯდომად თავი ღირსად არ მიაჩნდა და ცრემლს აფრქვევდა. მამა კი შვილს ასე არიგებდა:

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,

დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების!

უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების.

უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების.

მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა, რგულია;

უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია;

სმა-ჭამა - დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?!

რასაცა გასცემ, შენია, რასც არა, დაკარგულია!"

7.რას გულისხმობს რუსთაველი ვარდსა და ნეხვში?

ა) უდანაშაულოს; ბ) დიდებულს და მდაბიოს; გ) მამაკაცებს;

8.„სწორად“ ანუ :

ა) კარგად ბ) თავისუფლად გ) თანაბრად

9.რას უნდა ემსგავსებოდეს მეფე თავისი გულმოწყალებით?

ა) მანათობელ მზეს ბ) საკუთარ მშობელს გ) წინაპრებს

10. რას უნდა ემსგავსებოდეს მეფე სიუხვით?

ა) საკუთარ მშობელს ბ) უფალს გ) ზღვას